რადგან წმ. ანგონი უშეალოდ ამ საბრძოლო მოქმედებების შემდეგ
მოემართება ქართლისაკენ, ეს ბრძოლები კი 544 წელს მიმდინარეობდა,
ხოლო ამ დროისათვის იოანე და მისი მოწაფეები უკვა
გამომგზავრებული არიან ანგოთქითან, მათი ეს გამომგზავრება
544 წლამდე საგულისხმებელი.⁸³ თუკი იმასაც გავითვალისწინებთ,
რომ 541 წელს ქართლში სამეფო ხელისუფლება აღარ არსებობს,
რომლის გაუქმებაც, როგორც აღნიშნეთ, საარსეულიზანგიას შორის
540 წელს განახლებული ომის დასაწყისისათვის ან უშეალოდ
ომის წინ უნდა მომხდარიყო, ასევრელი მამების ქართლში მოხვდა
541 წლამდე, ან უფრო ზესტად, ბიზანტია-საარსეულის ომის დაწევ-
ბამდეც (540 წ.) კი სავარაუდებელი.

„შოთ ცხოვრებაში“ დაცული ხევნოვის ფრიად საინგრეცხო
ცხობა გვაცემინებს, რომ იოანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა
ქართლში გამომგზავრების წინ მოინახულეს „დიდი მნათობი... სკო-
მონ საკვრუსლომოქმედი“, „ლოცვა მისი მოიდეს და ესრეთ წარგ-
მართნენ გზასა ქართლად მიყვანებულესა.“⁸⁴

VI სის ცხობილი ასკერი და სახულცერო მოდვაჭკ, კადექის
მიერ წმინდანად შერაცხილი სკომონ მესვებე (521-592 წე.)⁸⁵ მებ-
ვატების ექვედას 68 წლის განმავლობაში და ამ მოდვაჭკის
ხანგრძლივობის გამო იოანე ზედაზნელისა და მისი გუნდის
მოხვლის დროის დაზესტებისათვის ამ ცხობას განსაკუთრებული
მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ არა საფურადებო წამძღვარება:
„ამათ ჟამთა აღსრულ იქო დიდი მნათობი მოქმედი სკმონ
საკვრუსლომოქმედი მთასა საკვრუსლა გარნაო არა და სუმტხავა
ზედა, არამედ თორჩება შინა მჯდომარე იქო“. აგორგრაფის ეს
სიტკები მ. ბროსესთან იმგვარად იქნა გაგებული, რომ ასეურელი
მამების ქართლში წამოხვლისას სკმონ მესვებე უკვა ასეული კო-
ფილა საკვირველ მთაზე – “вопиедший уже на дивную гору”,
სადაც სკმონის კოფნა 528-596 წლებშია მოთავსებული.⁸⁷ 528 წელი
წმ. სკმონის ბერად აღკვეცის წლია, 596 კი – მისი გარდაცვა-

81 საქართველოს სამოთხე, გვ. 294.

82 ქ. კამლიძე, დასახ. ნამრთმი, გვ. 101.

83 იქვე, გვ. 100.

84 საქართველოს სამოთხე, გვ. 224-225.

85 მ. საბინინი სკმონ მესვების ცხოვრების წლებად რატომდაც 499-584 წლებს უთითებს
(იქვე გვ. 225, შე. 1).

86 იქვე, გვ. 224.

87 М. Броссе, О некоторых недостатках... "Кавказ", 1850, N 25.

ლეგისა. ამდენად ზემოხსენებული წლები სვიმონის ხაცკლიანი
(სამონასტრო) მოღვაწეობის წლები გამოდის. ერთი წლის შემდეგ ა.
ბროსებმ უკვე შეასწორა ტაქჩის გაგება: „ხირიდან წამოსალისას
ყველამ შესთხოვა პართხევა წმ. სვიმონ მესვეგებს, რომ კონკრეტულ
კიდევ არ დამკვიდრებულიყო ხაკვირველ მთაზე“⁸⁸

მხერად მხომელოვანია დადგინდებ, რომელი წლიდან იწყებს
წმ. სვიმონი მოღვაწეობას ხაკვირველ მთაზე კური მიწვდომ სვი-
მონ მესვეგების ბიოგრაფის, მის უმცროს თანამედროვესა და მოწაფეს
— არკადის, შემდგომში კვიროსის მთავარგამისკოპოსს (630-638 წ).
არკადის აღწერილი წმინდანის ცხოვრების ქართული თარგმანი
გადმოგვცემს, რომ ერთა სვიმონი თავის მოღვაწეობას იწყებს ხე-
ლევებია ქალაქის მახლობლად სოფელ ტიბერიანთან არსებულ მონ-
ასტერში⁸⁹. საკვირველ მთაზე წმ. სვიმონი გარკვეული დროის
გახვლის შემდგებ გადაღის. კერძოდ, თხზულების ძლიერი ავტორი
აღნიშნავს, რომ ამ მონასტერში წმინდანს მთლიანობაში 14 (6+8)
წლი დაუკავია,⁹⁰ რის შემდგადაც იგი მიემართება მახლობლად
მდებარე საკვირველ მთაზე, რომელიც მანამდე იყო „უგალ ქაც-
თაგან და უდაბნო ფრიად“⁹¹ ხწოვედ ამ მთაზე უოფნისას შეუხ-
რევდა წმინდა სვიმონს ოცი წელი.⁹² მაშასადამე, 541 წელს სვი-
მონი უკვე საკვირველ მთაზე. „სვიმონ მესვეგების ცხოვრებაში“⁹³
ასევე გადმოცემულია ხოსროს მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ ამის
დაწყების თაობაზე: „... შემდგომად მცირვდისა ჟამისა ადადგინა
დმერთან ხეასრო მეფე იგი ხარსთავა... და მოიცეა ქალაქი იგი
ანტიოქიისად გაწნდან საარსთამან“⁹⁴. ომის დაწყებისა და
სპარსელთა ჯარის მიერ ანტიოქიის აღებისას, კ. ი. 540 წლის
გაზაფხულ-ზაფხულში წმ. სვიმონი ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულიყო
ხაკვირველ მთაზე. აღსანიშნავია, რომ სპარსელთა მარბიელი
რაზები როცა რამდენიმეჯერ მიადგნენ წმ. სვიმონის მონასტერში,
მესვეგებ ჯერაც იქ იმყოფებოდა. ძქდას გამომდინარე, წმ. სვიმონის
ასევე საკვირველ მთაზე. სადაც იგი ხილოცხლის ბოლომდე დარჩა,
540 წლის ბოლოს ან 541 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

დავუძრულდეთ, როგორ არის ხევნოვის ხაინტერესო ცხობა გად-
მოცემული წყაროში: „ამათ ჟამთა ადსრულ იყო სვიმონ
საკვირველომცმედი მთას ხაკრულხა გარნად არა და სუსტაცა

⁸⁸ Brosset, M., Additions..., გვ. 127.

⁸⁹ ცხოვრება სვიმონ მესვეგებისამ, ქართული პაგიოგრაფიული მეგლები, ქ. კავკლიის რედ.,
ქოჩია, ტ. I, ტფ., 1918, გვ. 220.

⁹⁰ იქვე გვ. 339.

⁹¹ იქვე გვ. 247.

⁹² იქვე გვ. 248.

⁹³ იქვე გვ. 243.

ზედა, არამედ თორნებას შინა მჯდომარე იყო⁹⁴. ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა მისი იმგვარი გააზრება, რომ წმინდანი იმ დროისათვის ჯერ არ იყო ასეული საკირველ მთაზე, არამედ „თორნება შინა“ იჯდა. ამას მოახსავებს ავტორის ხელის „გარნავ არა“ თუმცადა სკომონ მესვების „თორნეში“ ასეთი შესახებ „ცხოვრებაში“ საუბრია მხრილი მისი საკირველ მთაზე ასელის შემდგებ; „ხოლო წმიდა სემიონ დაუმკედრი მთასა მას საკრებულის ბრძანებით დამთხვეთა კლდება მას ზედა და შემჩნა თორნე რკინისა და დაღგა მას შინა“⁹⁵. „შოთ ცხოვრების“ ტაქტებში სკომონის „თორნეში ჯდომის“ შესახებ აღნიშვნა შესაძლებელია ასეთი სკომონის „ცხოვრების“ ზეგავლენით.⁹⁶

ამგვარად, „შოთ ცხოვრების“ ცნობილიან გამომდინარეც, ასეურელ მამათა ქართლში მოსვლა 540 წლამდეა მოხალოდნეული (541 წელს წმ. სკომონი უმვე საკირველ მთაზე, ხოლო წყაროს ჩვენებული გაგებით იგი იორანე ზედაზნებულის ჯგუფს კურთხვას ამ მთაზე ასელამდე აძლევს). გარდა ამისა, ამ ცნობითვე დაინდება ქავდა ქრონილოგიური ზღვარიც; წმ. სკომონი 528 წელს, ხრულიად ყრმა აღიკვეცა ბერად და ამ წლიდანვე აიღო მესვებულის დვაწლი. ამიტომ უფრო აღრე მის მიერ ვინძებულის კუთრებელის მიცემაზე დაპარაკიც ზედმეტია. აქვდან გასჭით, რომ ასეურელი მამები 528-540 წლებში მოსულან.

შევვლებით, შემდებისდაბგარად უფრო დაგაზუხებულო ასეურელ მამათა ქართლში შემობრძანების თარიღი. ყრმა სკომონი დაახლოებით სვეტზე ასელის ხანებიდანვე იწყებს თავის სასწაულებრივ კურნებასაც. ამ ხაქმთა შესახებ რა ესმა ანტიოქიის მთავარების ქოპოს კურტებისს, მობრძანდა და მოინახულა უწლოვანი ბერი. კურემთონის ქალაქში დაბრუნების შემდგებ (ი. მან მოუთხრო

⁹⁴ იქმ. გვ. 248.

⁹⁵ გ. ფრაძემ ეს გადაშეცრა შეცდომად ჩათვალა – თავიდან „თორნეში ჯდომა“ უნდა წვრტყელიყო, რაც, მას აჩრია, რკინის ჯაჭვის დალებას უნდა გულისხმილებეს, რადგან „თორნეს“ ს. ორბელიანი რკინის ჯაჭვის უკუკრძალების (გრ. ფრაძე, დასას ნამრომი, გვ. 24, შე. 2). ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი მას პასუხობს, რომ ს. ორბელიანი „თორნი“ „ჯაჭვად“ კა არა აქს განმარტებული, არამეკ „ჯავახიშვილის სკომონის ჯავახმში ჩაჯდომა უახრია გამოდის, ამიტომ ასეთი შესწორება გაუმართლებელია (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 406-407). კ. მაკელიძე, პირიქით, სკომონის „თორნეში ჯდომის“ შესახებ ცნობას კურნება, რასაც 541-551 წლებში ათავებს (გვ. 100). სკომონი საკირველ მოსუნ მოლვანტებას (დასხ. 541 წ.) „თორნესა შინა“ ჯდომით იწყებს. ხოლო წმინდანის „ცხოვრების“ ბოლოს, მის მოღვაწების შეჯვებისას ავტორი აღნაშნავს: „აღექმნეს მას მთასა ზედა საკურველას სუეტი ქათა ჭელითა და დაყი მას ზედა ათი წლით“ (ცხოვრება სუეტისათვის, გვ. 339). კ. მაკელიძე თარიღის მიღებისას, ერყობა, ამ მოტივებს დატყორდა.

„ეფველსა ერსა“ ხაკვირველმოქმედი ურმის შესახებ) „განითქმის ხიტებია ეს ქალაქსა შინა და გარემო სოფლებსა და დაბნება, კრუელი ლილძალი მოვიღოდა მონაბეგრსა მას და სხვადასაც ურმასა ეგვითარითა მით დაწყვლითა შშრომების დრო იქურთხებულებს ორთავე მატგან“ (ხვიმონისა და მის მოძღვრისაგან). უფრო დამაჯერებლად აკაზგნება, ახერელი მამები წმ. ხვიმონთან კურთხევის მისაღებად მისელიყვენებ მისი დიაკვნად კურთხევის შემდგებ, რადგან „ეკველნი რომელი ხედვიდეს და რომელი დახუდეს კურთხევასა მას (ხვიმონის დიაკვნად კურთხევას – დ. მ.), ამბორს უყოფდეს და იკურთხევოდეს მისგან“ (ხვიმონისაგან).⁹⁷ „ეკველნიში“, ჩანს, ხვიმონის დიაკვნად კურთხევის შემსწრე სასულიერო პირებიც იგულისხმებიან. წმ. ხვიმონი დიაკვნად იკურთხება 532 წელს შეირკ სვეტზე („რომელსა აქუნდეს ორმეოც კუალი ფერგისა ხიგრძელ“) ასევლისას: „ვითარ შექმნეს ხეჭრი იგი და უნდა აღხველა მას ზედა, მოვიდა წმიდა ეფრემის პატრიარქი ანტიოქიისამ და ნებარიცა გათხოვთხო სელვკიისამ და კოთარცა ჯერ იყო პატივითა დიდებითა და გალობითა და საკუმშევლითა მოიყვანება წმიდათ ხაკურთხევლად და აკურთხებს იგი დიაკონად... და გალობითა მით და პატივითა აღიყვანებს თავსა ზედა მის სუერისახა.„⁹⁸

შეირკ მხრივ, ხვენთვის ცნობილია, რომ ასერელ მამებს ქართლში ადგილობრივი ხამეფო ხელისუფლება ხვდებათ. რადგან ქართლში მუცობა 541 წელს შემ ბაჟქმებულია, ეს მოვლენა 540 წელზე გვიან ვერ მოხდებოდა. ფარსმანი კი, რომლის მუცობის დროისაც შემოღიან ასერელი მამები, როგორც აღვნიშებო, ქართლის ბოლოსწინა მუცფა (მუცობის გაუქმებაძეგ). ამიტომ ცველაზე გვიან 30-იანი წლების მიუწრეულს მაინც უნდა მუცფა უგანასწილ წარმომადგენელს ფარნავაზიანთა დინასტიისა – ამ ფარსმანის („სხეუაიბ“) ქე ბაკურს. ბაკური რომ მცირე ხანს მუცობდა, ადასტურებს ქართული მატიანების გადმოცმაც, რომ გარდაცვალების შემდეგ მას მცირეწლოვანი შეიღები დარჩა. ეს ბაკურ მუცის ახალგაზრდულ ახაქში გარდაცვალებაზე მეტყველებს.⁹⁹ იმის გამო, რომ ქართლში მუცობა ცველაზე გვიან 540 წელს შეიძლებოდა გაუქმებულიყო, ბაკურის მუცობა კი უნდა ვიფიქროთ, 2-3 წელს მაინც გახებანდა, ასერელი მამები ქართლში 537 წლამდე მოცელიან, რადგან მნელი

⁹⁶ ცხოვრებათ სკმიონ მესუეტისამ, კიმნი, ტ. 1. გვ. 227.

⁹⁷ აქმ, გვ. 233.

⁹⁸ აქმ.

⁹⁹ ვ. გოილაძის აზრით, ბაკური კი არ გარდაიცვალა, არამედ იგი დატყვევეს ირანელებმა; რაღაც თვლის, რომ სტერსას ცნობაში „გამრის მუცის“ დატყვევების შესახებ „ხოსროს მიზი ქართლის მუცის ბაკურის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებანი იგულისხმება, რომელსაც ქართლში მუცობის გაუქცევა მიჰყევა“ (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 156).

წარმოსადგენია, „ფარსმან სხუავი“ ამ თარიღის შემდგარც ჟმენი¹⁰⁰ საბოლოოდ შეიძლება დაგასცვნათ, რომ ასეურელი მამები ქართველი VI ს-ის 30-იან წლებში, უფრო ზუსტად კი 532-537 წლებს შეირჩის შემოდიან.

ამ თარიღს უნდა შეეხაბამებოდეს ცნობაც, რომ ასეურელი მამების ქართლები მოტრმანებისას „ორასნი თდენ წყლიწადნი წარსულ იყენებს მოქცვით მათითგან“ (ქართველებისაგან), რაც სხვადასხვა ვარიაციითაა გადმოცემული სხვადასხვა წყაროში – „მოქცვაიან“ ჰქლიშეური ნუსხა ამას ამგვარად გადმოგვცემს: „მაშინ მოვიდა ოოვანე ზედა-ზადენელი შეა შდინარით, იგი და ათორმეტნი მოწავენი მისნი, ქართლის მოქცვითგან მეორასება წელსა“.¹⁰² წყაროთა ეს სვენებები მხოლოდ ზოგადი ქრონილოგიური მინიჭნება უნდა იყოს (ძველი წყაროებით იმავე დროითაა დაცილებული ერთმანეთისაგან ფარსმან სხუავისა და მირანის მეფობა¹⁰³), ანუ იოვანე ზედაზნელი ქართლები მოვის ქვეყნის მოქცვითგან დაახლოებით ორასი წლის გახელის შემდგომ. ისტორიოგრაფიაში ქართლის მოქცვის ზუსტი თარიღი მნიშვნია დადგენილად ჩაითვალის, მაგრამ ამ უმნიშვნელოვანებს მოვლენას მართლაც დაახლოებით ორი საუკუნე აშორებს VI ს-ის 30-იან წლებს, როცა ქართლის მიწაზე უკეთ შემოდგეს „ახალმა განმანათლებლებმა“, რომელთა დაწესების მნიშვნელობაც განუხაზდებოდა საქართველოს ხელიკრი პალტურის ისტორიაში მოციქულთა სწორის ქალწელ ნინოს დარად.

¹⁰⁰ კ. გოლოაძემ ქართული წყაროების „ფარსმან სხუავ“ და ბიზანტიური წყაროების მამანარძე იდენტურ პარტბდ მინნია (იქვე, გვ. 150). ეს მოსახრება მიესადაგდა ჩვენს გამოკვლევასაც: VI ს-ის 30-იან წლებში ქრისტიანული მოსულ ასეურელ მოღვაწეებს სამუჯრებრივზე ფარსმანი სკოდბათ, ამავე ხანებში (535 წ.) თეოფანე ფამიალწურელი ქრისტიანული მეფეებ დამანარძეს ასახელებს.

¹⁰¹ საქართველოს სამოთხო, გვ. 223.

¹⁰² მოქცევამ ქართლისათვის, გვ. 94.

¹⁰³ „მეფობითგან მისინ მეფისა, ფარე უფობამდე მეფისას ფარსმანისა გარდაჭელ წელი ორასი“ (ქი, ანადგინველისუელი ნუსხა, ს. ფარხაშვილის რედ., თბ. 1942, გვ. 141. იგივებ კვეუბნება „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი: „მორიანის მეფობითგან ფარსმან მეფირების თრიანა წელია“ (ქართლის ცხოვრება, ძევლი სომხური თარგმანი, იღ. აბულაძის რედ., თბ. 1953, გვ. 188).



წევნი მოსახურების სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს ქრისტიანულიც „შოთა ცხოვრებიდან“: როცა გინის ცხოვრები მით მდგრადის თაოსნობით დაწევებული სამი ეკლესის შემცირდობა, რახაც უხვად შექვეთია ფარსხმან მკვეთ მდგომის უდაბნოს სხვა მდგრელმოავტორებთან ერთად სწავლია კათაღილის მაკარი და თავად უკართხებია ახლად გამტკუდი ეკლესიები. კათაღილის სტრილი აგრეთვე ყოფილია წმ. შოთა მდგრელი და კურთხველიც („რამეთუ დიაკონად ხელდასმულ იყო ანგიოიქოსები“, მაგრამ „შოთა განგრინია“, რომ ამს შემდგომში შეიძლებოდა გისხეობის პატივის მოქმედობა „და ამისთვის, კომარცია სრმალი ორმირიგან განეცხვი ყოველთა წინა“ და „უცხეთ ბერის დაქოლიება ვერავინ შეძლო. ¹⁰⁴

მაკარი კათაღილის მოსხენიებულია „მოქცევა ქართლისადმი“. ¹⁰⁵ „მოქცევას“ „შატბერდული ნების მაკარი კათაღილისობდა ეკლალებს (II ეკლაგორზე) შემდეგ და სამოელის წინ. უკაველია, ეს უკანისებელი ის სამოელ კათაღილისა, რომელიც სვენთვის ცნობილია „გვიშათო მცხოვრების წამებიდან“. ¹⁰⁶ მაშინადამ, სამოელს ქართლის საკათაღილოს ხაფუარი 40-იანი წლების შესახნებისათვის უპერია. თუ დაუკუშვებთ, რომ უკლალე ქართლის კათაღილისა VI ს-ის 30-იანი წლების შესახნებში, ასეურედ მამათა ქართლში მოხვდის დროს, აქედან გამომდინარე მაკარი ქართლის ეკლესის საჭიროებულებული უნდა იყოს VI ს-ის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში. „შოთა ცხოვრებაში“ მოთხოვობილი ამბავი ეკლესიათა შექნებლობის დასრულებისა და კურთხევის შესახებ წევნი გამოკვლევის შესაბამისად მართლაც ამ ხინებში უნდა მომხდარიყო: „შოთა მდგრადი იოანე ზედასხელობის და მის სხვა მოწავეებისათვის ერთად

¹⁰⁴ საქართველოს სამოსხე, გვ. 237

¹⁰⁵ „მოქცევა ქართლისადმი“, გვ. 94.

¹⁰⁶ ამს თაობაზე ს. კაკაბაძე წერს: „ვსტათი მცხოვრების ცხოვრებაში მოხსენიებულ სამოელ კათაღილის წარმოჩენა შეიძლება მხოლოდ „მოქცევა ქართლისადმი“ შატბერის ვარიანტში მოთავსებულ კათაღილისთვის უფრო სრული ხით, სახელდღირ, ის უნდა იყოს მაკარის შემდეგ მოხსენებული სამოელი, რომელიც თავის მხრივ ცოლოსან კათაღოვანთა ხაშიც მოამოვდა“ (ს. კაკაბაძე, საისტორია ძიქანი, ტფ. 1924, გვ. 48). მოვანებით, როცა ს. კაკაბაძე მაკარის კათაღილისობა 510–515 წლებში იყარაუდა, სამოელი შატბერდულ ნესხაში „შეუძლია წამებას“ ავტორის ზეგავლენით ჩართულად მიიჩნია, „ხოლო ვანაინა შეუძლია წამების შესახებ ცნობა „მოქცევა ქართლისადმი“ არა თავის ადგილას ჩამატებული, ამიტომ ამ სამოელ კათაღილის საზოგადო არსებობაც საეჭვო ხდება“-ი. (ს. კაკაბაძე ძიქანი ქართველის IV–VII საუკუნის ისტორიის შესახებ, „საისტორია კრიზელი“, ტფ. 1928, გვ. 31).

აღის ზედაზენის მთასე. აქ გატარებული ოთხი წლის შემდეგ მა ას-
მარტოვებით ხაცხოვრებდად ირჩევს მცხვითი დახავლევით ძალის
უფასხო და „ურწყმალ“ ხევს, ხადაც მმობის განენის შემდეგ რეცეპტის
ვიდეო კადენტიათა შექცებლითას.¹⁰⁷

კარივის შიგნიველი

შიგნიველი

დავით გარევალისა და აბიბოს ნეპრესენტის
ეპიტოლი მოსვლის ქრონოლოგიისათვის.

აბიბოს ნეპრესენტის
მარტვილობის თარიღისათვის

როგორც უკვე აღინიშნა, ისტორიოგრაფიაში გამოითქმა აზრი
დავით გარევალისა და აბიბოს ხევრებულის სხვა ასეურელ მამათაგან
დაძირულებდად მოხვდის თაობასე. ¹⁰⁸ ამიტომ ეურადღებას შევა-
ნერებოთ მათ ქართლში მოღვაწეობის ქრონოლოგიურ საკითხებზეც.

გადავხედოთ წეროების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. უპირველეს ერვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ასეურელ მამათა სახელო-
ბით სამინათვალი არაერთ წეროში მოიძოება („ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხესხებში ჩანართის სახით, „შოთ მღვიმელის ცხოვრებაში“, „იოანე ზედაზნელის ცხოვრებას“ დართულ სიაში) და არც ერთ
მათგანში ამ ორი საგადებოთ მამის სახელი გამტოვებული არ არის. მოუხედვად იმისა, რომ „იოანე ზედაზნელის ცხოვრებას“ დართული
და „შოთის ცხოვრების“ ხევბი შესამნევებ განსხვავდება ერთმანეთისა-
გან, დავით გარევალისა და აბიბოს ხევრებულის არსებობას სხვა მა-
მათ შეირის სადაციდ არცერთი არ ხდის.¹⁰⁹

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც „დავით გარევალის ცხოვრების“
ქველი რედაქციის დასაწყისი („ხოლო ეს წმიდაო მამაი ჩუქი დავით

107 ამ ცნობას დაეყრდნო მ. ბრისე, როცა ვალავიოზ კათალიკოსი ფარსენა შეის ბოლო
წლებში გარდაცვლილად მიზნია და მემატიანის ცნობა მაკარისონის კათალიკოსის ტიტუ-
ლის მნიჭების შესახებ შეფის დროს შეცდომად ჩაფალა. (Brossset M., Additions...გვ. 129-
130).

108 პ. კამლიძე, დასახ. ნამრიმი, გვ. 106; ივ. ჯავახიშვილი, ისიარებს პ. კამლიძის აზრს
ქართლში ფეხლაზე აღრე დავით გარევალისა და ფეხლაზე გვან აბიბოს ხევრებულის
ძილების შესახებ. მაგრამ არ ფონხმბა რა ასეურელ მამათა მონოუზაზობის საკითხში,
ბერებრივა, მათი მოსხვის მინიჭითიტო დევნაზე დამყარებული თარიღები (520 წ. 571 წ.)
მისოვის მიუღებელი იქმნოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 410).

109 მეტიც, პირველი სა წმ. დავითი სახელით იწყება, ხოლო მეორეში მისი სახელი რიგით
მეტიც შიოს შეძლება.

წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყელთა სჯად თავისია თქმისძიება¹¹⁰ გვაფიქრებინებს, „ცხოვრება“ თავდამირველდა დამოუკიდებელი თხელულება არ უნდა ყოფილიყო და იოანე ზედაზნელისა და ამით მდგომელის „ცხოვრებათა“ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდა¹¹¹ წმ. დავითის მეტაფრასულ „ცხოვრებაში“ გარუჯალი მის მიზანი დაპირად დასახულებული იოანეს მოწავედ: „გარდა დადაცათუ ხორციელად შშიტებული და თანად სახელი ძალი უცხო იქმნა ზუმნანან, არა მედ სულიერი მაშა და უსაკუთრებსად აღმზრდელი ამისი საცნოურ არს ყოველთათვეს, საგრუსილი და ღირსი იოანე ზედამნელი“¹¹² გარდა ამისა, იოანე ზედაზნელის „ცხოვრებაში“ მისი მოწავების მიერ ქვეწის სხვიდასხვა მხარეში მონახებრების დარსების შესახებ აღნიშვნისას ხაზგასმულია დავით გარუჯალის დგაწლი: „და სხვათა აღა შენებს კახეთს მონახერენი, ხოლო დავით აღაშენა უდაბნო იგი გარუჯისათ...“, იოანე ზედაზნელის ცხოვრების სხვა რედაქციაში ეს აღგილი ამგარადადა წარმოდგენილი: წმ. იოანეში გააგზაფნა თავისი მოწავეები, „რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კახეთით... ხოლო ნებრი დავით გარუჯისა უდაბნოსა“¹¹³

როგორც ვხვდავთ, ერთი მხრივ დგას ქართული სამწერლობო ტრადიცია და მის საპირისპიროდ – დავით გარუჯალის „ცხოვრებისული“ ცნობა, რომ მის იერუსალიმს მოგზაურობისას იქ პატიიარქობდა

¹¹⁰ ცხოვრება... დავით გარუჯალისამ, მც. ქართული აგიოგ. ძეგლები, I, გვ. 229. ჰდრ. შიოს „ცხოვრების“ დასაწების: „ხოლო ნეტარი ესე და ღმრთივ განბრძობილი მამამ ჩუქნი წმიდად შიო მოვიდა წინამდებრებითა სულისა წმიდისათა და დაემკუდრა დასავლით კერძო დედა-ქალაქსა მცხოთას“ (ცხოვრება... შიოსი და ვაგრესი, მც. ქართული აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 217).

¹¹¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 267.

¹¹² „ცხოვრება იოანე ზედაზნელისათ...“, მც. ქართული აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 207. კრცელი კარიანტით: „რომელიმე მათგანი კახეთად და რომელიმე კახეთად კრძო... და ერთი კონტე გარეშეთად“ (იქვე). უდაცოა, „გარეშეთა“ აქ „გარესჯას“ შემცვლელია. მის თაობაზე იღ. აბულაძე შენიშვნას, რომ „გარესჯა“ სტეფანოს ორბელიანთან „გარეშედ“ მიიხსენიება: იგანე ათაბაგს ერთი საკითხის გადასაწყვეტად დეინს მოუწვევია სასამართლო და მონაწილეობით, „დიდი მთავრი გარეშეთა“ (ეს უკანასკნელი გარესჯელიად ეპულება ივ. ჯავახიშვილსაც; ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 307). „აგრეშეთა“ თუ „გარეშეთა“ შეიძლება ამ ადგილს (გარესჯას) იმიტომაც რქმეოდა, რომ ქართლ-კახეთისათვის ის ზენა სოფლის მგავსად გარეშე-ს II გარეშენს წარმოადგენდა (მდრ. შიგნი კახეთი და გარე კახეთი) – იღ. აბულაძე, ასურელ მოვალეობაში, თბ., 1955, გვ. XX-XXI.

ზემოაღნიშვნული ეპიზოდი გვხვდება „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობაში“: „...და სხუათა დამკარგეს კუხეთს მონასტერენი, და ერთმან უდაბნო გარესჯისათ და მრავალი საკრეველობანი ქმნა (მარტვილობა... მც. ქართული აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 247).

ელია.¹¹³ უფრო მართებული იქნებოდა „გვერატებება მიმამისისშია ძველი სამწერლობი ტრადიციისათვის“¹¹⁴ წმ. დავითის იერუსალემის წმინდა აღილების მოლოცვისას ელიას იერუსალიმის პატრიარქობა მოხსენიება ჩვენთვის გარემოებით გამოწვეული უნიკალური უნდა იყოს.¹¹⁵

ასევე აბითოს ნეკროსელი მოიხსენიება „შოთა ცხოველიში“, სადაც მოთხოვდილია მისი გაიხორციად კურთხევის ამბავი ქართლის კათალიკოს ეკლავითზის მიერ. აბითოს აქ მოიხსენიება სხვა ასურელ მოდგაწებითან – იოანე ზედასწელთან და ისე წილადნელთან ერთ კონტექსტში.¹¹⁶ ასე რომ, წეროთ მონაცემებით, აბითოს ნეკროსელიც დანარჩენ ასურელ მამებთან ურთად მოსული და, ბუნებრივია, მათი თანამედროვეები.

ზემოთქმულს ადასტურებს ასევე გვიზოდი აბითოსის „მარტვილობიდან“: „მეყორობილი ნეკროსელი გაიხორცია მიჰყავთ „ზენა სიცლად“ მარტანის კარტე. გზად იგი მოიწადინებს წმ. შოთა მონაცელებას და მდგინელ ბერთან საუბრით სულიირად კიდევ უფრო განმტკიცებული გაბეჭდული მიუმართობა ქრისტეს სახელისათვის საწამებლიდან.“¹¹⁷

¹¹³ ლ. მენამდევ, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.

¹¹⁴ კ. კავკაციის აზრით, პარიქო, ქართულმა სამწერლომ ტრადიციამ მოვანებით გააერთიანა ურა ჯვარუში სირიიდან სხვადასხვა დროს მოსული ეს სასულიერო მოღვაწენი.

¹¹⁵ მ. ბროსე წერს: „В самом деле, грубо описався тот, кто посещав Иерусалима Святым Доду поставил во время не бывшего тогда в живых Патриарха Илии“ (М. Брюссе, О некоторых недостатках... „Кавказ“, 1950, № 25), (უკველად, წერილი შეცდებულია გამარტელი; „დღიულს“ „აცვლებულ უნდა იყოს „დავითი“); ლ. მენამდევ თვლის, რომ ზემოთქმულ ცნობაში „რაღაც არული უნდა იყოს“ და ამის მიხდვით, „დავითის მოსულისა თუ მოღვაწების ხანის გარეკვეთა და ტრადიციული ცნობის შეცვლა მნელია“ (ლ. მენამდევ, დასახ. ნაშრომი, გვ. 88); ალიანსშია ისიც, რომ დავითის იერუსალიმში კ. მენამდევის მიხედვით მგრძველის დროისაც (519-520 წწ.) ულავ უკავ გარდაცვლილი იყო. კლია (გარდ. 518 წელს) იერუსალიმში პატრიარქობდა მ. ბროსეს მიხედვით – 494-513 წლებში, მ. საბინისის მიხედვით – 496-517 წწ., კ. კავკაციის მიხედვით – 494-516 წწ., გრ. უკრაინისა და ივ. ჯავახიშვილის მიხედვით – 496-516 წწ.).

¹¹⁶ ედუარის კათალიკითა აბითოს გვისებითად აკურთხებს ისეთიან ურთად, ამ უკანასკნელს ხელს დასახამს წილგნის გაისხორციად, რამეთუ „ამას უმსა შინა აღსრულებულ იყენებს გვასკოპესისა რონი, კრთი წილგნისა და კრთი ნეკრისისა“. როივნი კათალიკითას ბრძანებას ემთხოვილებიან თავიონთ მოღვრის, იოანეს დაიგვების შემდეგ (საქართველოს სამიათხოე, გვ. 228).

¹¹⁷ „მარტვილობა აბითოს ნეკროსელისამ“, მ. ქართული აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 243-244. ამ გვიზოდს კ. კავკაციის ასეთ კომენტარის უკრთხებს: „თუ შოთა და აბითოსი იყენებს გრისალია-მავე მონასტრის მოღვაწენა, კრთხადამავე მოძღვრის მოწაფენი და კრთად მოსულია ჩვენში, რაღა საჭარო იყო თქმა, „იცოდა იგი“, – ესე იგი იცოდდა მასო?... ასეთი ურაზით აღინიშნება არა ისეთი ნაცნობობა, როგორც აბითოსსა და შიოს შიონის უნდა ყოფილიყო, არამედ სრულიად შემთხვევით ხასათის“ (კ. კავკაციე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86). ლ. მენამდევ ასეთი დასკვნის გაძირანა ემცველია, იგი აქ აბითოსსა და შიოს შიონის „ტბილი და ახლო მეგორულ დამოკიდებულებას“ ნედავს: აბითოსმა თავისი ადასასრულის მოანდოებისას

აბიბოს ნეკროსელი სხვა ასურელ მამებთან შედარებით გვამდინა გვიანდელ მოღვაწედ წარმოაჩინა პ. პეტრიძიმე, როგორც ვთქვით, იმ მოტივით, რომ აბიბოს 590 წელს აწმებო და ამ დროს იგი ექვემდებარებოდა და ჯან-დონით ხავსე კაცებ ხასხო.¹¹⁸ ხოლო იგ. ჯანახიძიმით, უწოდებს რა „აბიბოს წამებას“ გვევლაზე სახლო და მიმიც ქრისტოფორი საფუფველის მიმცემ თხეულებას, აღნიშნავს, რომ ამ ძეგლის მიხედვით „ამ მამის მოღვაწეობა აღმოს. ხაქართველოს უმცვობის ხანაში იწყება და VI ს. დამდგვამდის აღწევს“.¹¹⁹ როგორც დავინახეთ, ორივე მეცნიერი ხაკუთარი მოსაზრების გასამაგრებლად წმ. აბიბოსისადმი მიძღვნილი აგიოგრაფიული ნაწარმოუბის მონაცემებს იშველიებს. გადავხელოთ, როგორ სურათს გვიხარევს ეს ძეგლი.

პირველ კოვლის უნდა ითქვას, რომ ეს აგიოგრაფიული ძეგლი უორმითა და შინაარსებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს კლასიკურ ნიმუშს „მარტვილობისას“ და არა ცხოვრების აღწევას; ძეგლის მიზანია გადმოგვცეს მხოლოდ წმინდანის მოწამეობრივი აღსასრული. თხრობაც მცირე შეხველის (უქსების) შემდეგ იმის ახსნით იწყება, თუ რამ განაპირობა წმ. აბიბოს დახვა ქრისტიანობის მოწინააღმდეგებული მიერ. ამდენად, ძეგლის მიხედვით გერ დაღვინდება. როდიდან იდებს ხათვებს წმინდანის მოღვაწეობა. სხვა ხაკოთხია, რომ „მარტვილობაში“ გადმოცემული ამბავი (რომელიც უაქტურად არ განიგრძობა დროში) უშევობის ხანაში ხდება.

რაც შევხება აბიბოს ახატებ, ამის შესახებ აგიოგრაფიული თხეულებიდან უაქტურად ვერაფერს ვაკეულობთ. როცა იგზორი აბიბოსის ხიტხევებზე, შემართობაზე მივგანიშნებს, თქმა არ უნდა, ეს წმინდანის სელიერ მდგრადავობას გაძინებავს.¹²⁰ მთავარი იყო წარმოქნილიერ სწორედ სელიერი ხიტხევებზე განისკორისა ხიკვდილისა და ურაულ ჯალათთა წინაშე. სელიერი მხარის წინ წამოწვდა აგიოგრაფიულის ხატრით მახასიათებელით და კოვლად გაუმართდებულია ამის გაუთვალისწინებლად.

მაშასადამე, წამების წინ აბიბოს მაინცდამანიც ახალგაზრდად ვერ მივიწნევთ. მაგრამ აწამებ კი აბიბოს 590 წელს? ამ თარიღის დასახულებისას პ. პეტრიძიმე უთითებს აბიბოს ნეკროსელის წინასწარმეტყვ-

იახულა ძეგლი მეგობარი შიო და მას გაუხარა უკანასკნელი ფიქრები“ (ლ. მენაბეჭ, დასახ, ნაშრომი, გვ. 83-84, შენ. 2). ჩვენის მხრივ დავმოწო, რომ „მარტვილობა“ დამოუკიდებელი ხასათის თხეულებაა, არ შეიცავს თხრობას ასურელ მამებზე ზოგადად და სიტყვებით „აცოდა იგი წინამთვე“, ავტორი ამიბოსისა და შიოს დიდი წნის ნაცნობობას გადმოგვცეს მხოლოდ და სულაც არ არის აუცილებელი ამ სიტყვებში „შემთხვევითი ხასიათის ნაცნობობა“ ამოცავთ.

¹¹⁸ პ. პეტრიძიმე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

¹¹⁹ იგ. ჯანახიშვილი, ქართველი კრისტიანი, I, გვ. 406. როცა აბიბოსის მოღვაწეობას VI ს. დასასრულადე ავრიცელდებს, მცირერისთვის, ეტყობა, დაახლოებით მაინც მისაღება პ. პეტრიძის მოსაზრება აბიბოსს მარტვილობის 590 წლით დათარიღდების შესახებ.

¹²⁰ ლ. მენაბეჭ, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

ვალებას: „...ვითარ დედაკაცსაცა მას უწინა წარმეტყველა შემდგომდე
ხოლო მისა მოხვდა ბერძენთავ და დაპყრობა ქუკაჩისა, ამას
ნუენისავ, რომელიც იგი იქმნა მსწრაფლი. მისსავე დადა არამარტინი
მოვიდეს ბერძენი და განასხინებს უცჯულონი იგი საარსი და დაიკურეს
ჭავანია ეს ნუენი. მიერითგან კრისთაგნი იქმნებს მპერობელ ქარ-
თლისა“.¹²¹ მეცნიერმა ჩათვალია, რომ ეს „წინასწარმეტყველება ბერძენ-
ბის მოხვდისა და საარსთა ქართლიდან განსხმის შესახებ პგულისხ-
მობის ხწორებდ 591 წლის ამბებს“.¹²² აბიბოს წამების წელიც აქვთ
გამომდინარება მოთავტყლი, „კინალძა, წარმოითქა თუ არა მისი
წინასწარმეტყველება ბერძენის მოხვდის შესახებ, იგი მსწრაფლ“,
მაშინვე შესრულდა, ეს იგი დაი ხანს არ დაუკირხებიათ“.¹²³

აბიბოს წინასწარმეტყველების თაობაზე ვერ გატვით, რომ
„მსწრაფლ იქმნა“ ამ შემთხვევაში მაშინვე შესრულებას ნიშნავს.¹²⁴
საკითხს შეტი ჩათვალი მოყვითება, თუ ეურადღება მოეცევა შემდგე
ფრაზასაც: „მისსავე დედაკაცისა უე მოყიდეს ბერძენი...“, უ.ი.
„ბერძენთა მოხვდას“ ეს დედაკაცი თავადვე შესწრებია. ამიტომ უპი-
ანია ვიყიქროთ, რომ წინასწარმეტყველების წარმოიქმიდან მის შეს-
რებამდე რამდენიმე წელში მაინც განვლო და მაინცდამაინც მეორე
წელსვე აღსრულებულდა მიჩნევა გამართლებული არ უნდა იყოს. მი-
თვიქცებს, „მარტვილობისან“ არც ის ხანს, რომ აბიბოს დედაკაცს
უუსტიდ წამების წინ უწინასწარმეტყველებას. აგორგრაფიის ავტორი ამ
წინასწარმეტყველების ახენების მოკვდინების აღწერის შემ-
დგა მოწამე კაიხეოპოსის ხევა საჩინო საქმეთა („გერპო დალექა“,
„ულმროოთა მოქცევა“) შორის.

ამრიგიდ, აბიბოს ხერესელის წინასწარმეტყველება ბერძენთა მიერ
ქართლიდან საარსელთა განცევნის შესახებ კიღვეაც რომ ეხებოდებს
591 წლის ამბებს, წმინდანს 590 წელს წამებულიდ მაინც ვერ ჩათვალით,
რადგან: I. წინასწარმეტყველებიდან მის აღსრულებამდე არა ერთმა,
არამედ სულ ცოტა რამდენიმე წელში მაინც განვლო; II.
„მარტვილობისან“ არ ხანს, რომ წინასწარმეტყველება უშეალოდ
სიკვდილის წინ ითქმება (იგი წამების შეიძლება რამდენიმე წლითაც
უსწრებდეს წინ).

აშკარაა, აბიბოს წინასწარმეტყველება გულისხმობს ბიზან-
ტიელთა მოხაწილეობით ქართლში საარსელთა პატონობის დამხებას.
მაგრამ ეხება კი ეს წინასწარმეტყველება 591 წელს დატრიალებულ

¹²¹ „მარტვილობა აბიბოს ნეტესელისაა“, ძვლი ქართული აგორგრაფიული... I, გვ. 246.

¹²² ქ. კამბელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101-102.

¹²³ იქმა გვ. 102.

¹²⁴ ამას ლ. მენაძე შენიშვნავს: „ვეოქროს, ავტორისათვის ეს გამოიქმა („მსწრაფლ“)
პირითითა და დროის მოკლე მიანაცვის უნდა ნიშნავდეს. როველ შემთხვევაში არა გვაქვს
საბუთი, რომ დავასკვნათ, აქ ერთი (აკად. ქ. კამბელიძე) თუ ოცი (პროფ. ს. გაგაძე) წელი
იყრაულება“ (ლ. მენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81).

ამბებს? მივცვეთ მოვლენებს ქრონოლოგიური ხიდრმისაკენ. 589 წელს
ირანის შაში ხესრო II მხოლოდ მავრიკი კეისრის დაბამარჯებით ახ-
ერების თავის აჯანყებული სარდლის – ბაპრამ წებინის დამარტინებას
დაბამარჯების სანაცვლოდ კი, ხებეოსის ცნობით, შაშმა 591 წელს რო-
ზანგიას დაუთმო „იბერიის მომეტებული ნაწილი ქალაქ
ტფილისაძე“¹²⁵ (ეს მოვლენები წარმოიღგინა პ. კაკელიძემ წინასწარ-
მეტეპელების შესრულებაში). ნუთუ ბიზანგიის იმპერია VI ს-ის 90-იან
წლებამდე ვერ ახერხებს ქველი პოზიციების აღდგენას ქართლში?
გარდა ამისა, დავაკირდეთ, როგორ მთავრდება წერაოში აბიბოს ნეკ-
რებელის წინასწარმეტეპელების აღსრულების ამბის გადმოცემა:
„მიყრითგან ურისათვის იქმნებს მცერობელ ქართლისა“. კი. სპარსელთა
განცვენის შემდგა ქართლში ერისთავთა ხელისუფლება დამყარებულა.

571 წელს ხომეტოსა და ქართლში ცხობილი ანტიირანული
აჯანყება იწყება. აჯანყებულები ბიზანგიის იმპერატორ იუსტინე II-ს
სთხოვენ დაბამარჯებას. იმპერატორი ხიამოვნებით თანხმდება. აჯანყება
ბიზანგიის შემწეობით, შეიძლება ითქვას, წარმატებით დასრულდა:
საარსელები ქართლის უმერესი ნაწილიდან განიდავნება¹²⁶ (ასევ 576
წლისათვის მენანდრუ პროტიგერო მჩქვრის ხრდილოვეთით მდებარე
ამიერკავკასიას, როგორც რომაელთა მიწა-წელს, ისე უკურებს¹²⁷).
„ქართლის ცხოვრებაში“ ეს ამბავი ასევა გადმოცემული: „ესრეთ რა
უცალო იქმნეს სპარსენი, მაშინ შეითქვენეს კოვალნი ერისთავინი ქარ-
თლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე
ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნაოხსავთაგან მე-
ფიეთი ქართლისათა და რათა იყენეს ერისთავი იგი ოკე-თკესა ხევრ-
ისთოსა შეცემალებლად“¹²⁸ ასევ აღდგა ქართლში აღგილობრივი
ხელისუფლება. მთავარ ხელისუფლადს „ერისთავთა მთავარი“, ანუ
„ერისმთავარი“ წარმოიადგენდა. სეგანირად რომ ვთქვათ, ქართლში ერ-
ისთავთა ხელისუფლება დამჭარდა. ამ ხელისუფლების უმაღლეს გან-
მახორციელებლად კი ისევ ერისთავი („დიდი ერისთავი“) გუარამი
(როგორც ჩანს, ბიზანგითური წეროების გურგენი) გვევლინება.¹²⁹ ქარ-
თლი კი ბიზანგიის გავლენის სფეროს დაუბრუნდა.

80-იან წლებში ქართლში ისევ უნდა აღმსდგარისეთ ირანულთა ბა-
ტონობა, მაგრამ ამჯერად ამას მარტიანის ხელისუფლების აღდგენა არ

¹²⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 300; ა. ბოგვარაძე, ქართლის პოლი-
ტიკურია და სიციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979 გვ. 81.

¹²⁶ ა. ბოგვარაძე, აღცუველდალური ქართული სახელმწიფო VI-VIII საუკუნეებში, საქ-
ისტ. ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 269.

¹²⁷ ქანანდრე პროტიგერი, გვრგზია, ტ. III თბ., 1936, გვ. 238.

¹²⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217 (ჰძრ. „მიტრითგან ერისთავი იქმნეს მცერობელ ქარ-
თლისა“ („აბიბოს მარტიანისა)).

¹²⁹ პატმელიძის აზრით, ეს გუარამ-გურგენი მხოლოდ ჭრი-ჭრთი ის „მთავართაგანია“, ქარ-
თლის სამინაო საქმებს რომ განაგებს, პირველ ერისმთავარად კი სტეფანონს მაინნევს (პ.
კეჩქლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102, შე. 1).

მომყოლია — ირანულებმა, ერქობა, ცნეს ერისმთავრის ხელისუფლება.¹³⁰
ასე რომ, 591 წელს, როგორც ხოსრო II ქართლის დიდ ნიშიდა ბი-
ზანგიას გადასცემს, ამას, ბუნებრივია, „ერისმთავრი მყრი ქართლის
დამყარება კერ მომყვაბოლია — სპარსელებს იგი არც გაუსამართო მიზანი
თარება ისევდაც ნაოვლია, რომც არაფერი ვთქვათ იმის თაობაზე, რომ
591 წელს ხოსრომ ქართლის ტერიტორია დამტკიცებული და ხმარების სანაცვ-
ლოდ, ხოლო „მოვიდეს ბერძენი და განასხნეს... სპარსენი“ — ძალის
გამოყენებით განდევნის უფრო ნიშნავს, რაც მოხდა კიდევ 571 წლის
აჯანყების შედეგად.

ამრიგად, აბიბოსის წინასწარმეტყვლება 571 წლის ქართლის
აჯანყებას უხება, რადგან: 1. ამ აჯანყების შედეგად განდევნიან ბიზან-
ტიყლები სპარსელებს ქართლიდან და ამჟარებენ საკუთარ გავლენას;
2. ამ აჯანყების შედეგად დამკარება ქართლში „ერისმთავრი მივრ ქარ-
თლის მყრი ქართლის“ (ანუ ერისმთავრის ხელისუფლება); 3. ბიზან-
ტიყლების ამ დროს (და არა 591 წელს) გამოიყენეს სამხედრო ძალა
სპარსელთა ქართლიდან განხადულებად.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ აბიბოსის წინასწარმეტყვლებას
მხოლოდ 571 წლის ამბებამდე ექნებოდა ფასი, როცა სპარსელები
მყრად ბართობდენ ქართლში და სანამ მათ ბართობას პირველად
უდება ბოლო. თორებ ამ დროიდან მოყოლებული აქ პილიტიკური ვა-
თარება ისეთი მერკევია (ხასიათური გარდამაგალი უპირატესობით),
რომელიმე მხარის გამარჯვების შესახებ წინასწარმეტყვლებაში
გასაკვირიც აღარაფერი იქნებოდა და არც განხაკუთრებული აღ-
ნიშნის დორსად მიიჩნეოდა.

სემიოთქმულიდან გამოიღინარე, აბიბოსის წამება მხოლოდ 571
წლამდე შეიძლებოდა მომხდერიყო.¹³¹ ამას ადაბეტურებს შემდეგი გარე-
მოყებიც: „აბიბოსის მარტვილების“ მიხედვით, უმაღლესი ხელისუ-
ფლება ქართლში, უდავოა სპარსელ მარზაბანს ეჭუთვის (ნეკროსელ
ეპისტოლებსაც მიხო ბრძანებით აკვინებენ), ხოლო მარზაბანის
ხელისუფლება ადგილობრივი ხელისუფლებით იცვლება 571 წლის
მერე.¹³² მარზანის ხელისუფლება ქართლში, როგორც ვთქვით, 80-იან
წლებში სპარსელთა ბართობის განხადულებასთან ერთად აღარ
აღმდგარა. გარდა ამისა, VI ს-ის 80-იან წლებში სპარსელთა ბართობის
შედარებით რბილი იყო. ქრისტიანობასაც ისე გამუშტით გადარ-

¹³⁰ ა. ბოგვარაძე, ქართლის პოლიტ. და ხოც.-გვნ. განვითარება IV-VIII სს-ში, თბ., 1979,
გვ. 79.

¹³¹ С. Какабадзе, Репрезентия на работу К. Кекелиадзе... გვ. 127, აქვთ მკლევარი
ასკნის, რომ აბიბოს უნდა ექნებინათ 550 წლისათვის, სპარსელთა უდავო ბართობის
ეპოქაში (იქნა), ლ. ქანაძესათვის ზედა ქრონილოგიურ ზღვრად მაინც 591 წელი რჩება
(ლ. ქანაძე, დასახ. ნაწრობი, გვ. 84).

¹³² ვ. გოლიაძის აზრით, ადგილობრივი ხელისუფლება 555 წელს აღდგა, აქვთ აბიბოსის
წამებასაც 555 წლამდე ვარაუდობს (ვ. გოლიაძე, საიდან და როდის მოიღონ სირიული
მამები საქართველოში, მათობი, 1992, № 5-6, გვ. 199).

ებრძიან (რისი შესანიშნავი მაგალითიცაა ამ დროისათვის ქართული მოქრილი მონეტები, რომელზედაც ჯერის ნაშებიც იკვეთდა¹³³). და რაღაც აბიბოს ნეკროსების წამება უნდა მომხდარიყო მისი წინაშე მეტეველების აღსრულებამდე (ე.ი. 571 წლამდე) რამდენიმე წლით ადრე, აბიბოს მოწამეობრივად უნდა აღსრულებულიყო VI. ასე იმიან წლებში¹³⁴ აქედან ბუნებრივი ხევები 30-იან წლებში მოსკოვი ნაცელი და მოცერო მოდგაწე 30-წლის მერე, 60-იან წლებში დასჯილიერი ხევები 30-წლის მერე, 60-იან წლებში დასჯილიერი.

საბოლოოდ, აბიბოს ნეკროსების მოდგაწეობის ხანად ხატათ-ველოში შეგვიძლია დავისახელოთ VI ს-ის 30-იანი 60-იანი წლები. დაბხლიუბით ასევე პერიოდს უნდა მოიცავდეს სხვა ასურელ მამათა ქართლში მოდგაწე.

ვერწმუნოთ ქველი ქართველი კალმისნის, არსენი დიდის, კათალიკოსის ხიტკებს, რომ ასურელმა მამებმა „ოცხითა მოთ ხიმჭითა განაშენებს ხოველი ესე ჩემი ერთსა ფამსა შინა, იყენეს ვითარცე ჯაჭვ უქროვხამ მოდებული ერთიერთსა: წმინდამ ეპისკოპოსი აბიბოს ნეკროსები და ნეტარი იოანე ზედაზადებული და ლირებით მოჭიხნებული იხე წილანგელი ეპისკოპოსი და მადლითა ხავხე ბერი შიო ანუ ხევანი იგი მოწამენი მისივე ნეტარისა იოანე ზედაზადებულისანი, რომელთა შეგნიერითა მით ხელითა შეაძგენს ეკლესია¹³⁵“.

¹³³ დ. კაპანაძე ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 36.

¹³⁴ იმის გამო, რომ იოანე ზედაზნელი ქრისტიანი 30 წლის მერე გარდაცვლილა და აბიბოსის წამებისას იყო ცოცხალი აღარ იქნებოდ (წინააღმდეგ შემთხვევაში აბიბოსი უპირველესად სწორებ მას მოინახულება), ლ. მენაბდეს აბიბოსის დასკა 573 წლის (543+30) შემდეგ გვულება (ლ. მენაბდე დასახ. ნაშრიძი, გვ. 84). თავად არგუმენტულია არ ეწინააღმდეგება ჩვენს ქრისტიანობურ თვალსაზრისს (მოსკოვის დროს (530-იანი წლები) დამატებული 30 წელი, მივიღებთ სწორებ 560-იან წლებს). ჩვენის მხრივ დავქმნთ, რომ ამ დროს შიო მღვმელი იყო ჩასული: აბიბოსი „კვლება მტარებლთა, რამთა მივიღეს იგი ნეტარისა შოთა მღვმელი“ (მარტივილობა აბიბოსი ნეკროსებისამ, გვ. 243).

¹³⁵ იქვე, გვ. 247.



შინაარსი

ხატითხის ისტორიოგრაფია	3
ახურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო	13
ახურელ მამებთან დაკავშირებულ ქართლის გათაღიერეთა სერბის ქრონილოგიისათვის	25
დავით გარეჯელისა და აბიბოს ნეკრესელის ქართლში მოსვლის ქრონილოგიისათვის. აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის თარიღისათვის	26

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი.

კორექტორი ნ. მაჭავარიანი.

ხელმოწერილია დასაბუჭიდად 21.10.96.

საბუჭიდი ქაღალდი 60X84 1/16.

პირ. ნაბუჭიდი თაბახი 2,25.

სააღრ.-საგამომც. თაბახი 1,84

შეკვეთა № 171

ფახი სახელი ქართულები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 14

სააქციო საზოგადოება „პირველი სტამბა“

ჩუბინაშვილის № 50




Мерквиладзе Давид Демурович

Время прибытии в Картли Сирийских Отцов
(На грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1996

ԵՍԳԻՂԻ ՃԵՐԵՎԱՆ
+ԵՐԵՎԱՆ ՃՈԼԵԴՆԵՐԵ
ԾԺQ



ԵՒԶԲԻ ՃԵՐԵՎԱԿՈՒՄՆԵՐ